

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო  
საბიუჯეტო კომისიის სხდომის  
ოქმი №26**

9 სექტემბერი 2022 წ.  
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, გურამი ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, აკაკი ალადაშვილი, ნინო წულაძე.

**მოწვეული სტუმრები:**

საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი-ირაკლი თავართქილაძე

მერიის ადმინისტრაციის უფროსი- ვალერი ქილაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

**კომისიის სხდომა უფლებამოსილია.**

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი:**

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. (№12-032225043-03 07.09.2022)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (საკრ. №15-032225196-03; 11-01222512691 08.09.2022წ)
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ქეთევან შუბითიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (№12-032225128-03 08.09.2022)
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლაშა მაჭავარიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (№12-032225128-03 08.09.2022)
5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (№12-03222501-03 07.09.2022)
6. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-032224543-03; №12-032224548-03 02.09.2022)
7. ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-032224543-03; №12-032224548-03 02.09.2022)
8. ქალაქ თბილისში, ნორიოს აღმართი N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.058.01.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (№12-032224543-03; 02.09.2022)
9. ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-032224543-03; 02.09.2022)
10. ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.24.007.874, N01.19.24.007.875 და N01.19.24.007.876) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-032224543-03; 02.09.2022)

11. „ქ. თბილისში, პეკინის გამზ. N28-ის მიმდებარედ არსებული 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.14.030.069) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისის გულფ კოფე ენდ სნაკს“-ისთვის (ს/ნ: 402204379) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-032224542-03; 02.09.2022)

12. ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N17-19-ის მიმდებარედ/რუსთაველის გამზირი N19-ის მიმდებარედ არსებული 274 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.017.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტრედლოსთვის“ (ს/ნ: 405504850) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე(№12-032224546-03; 02.09.2022)

13. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N81-87-ის მიმდებარედ არსებული 424 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.05.003.132) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უკვესთვის“ (ს/ნ: 404474662) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე(№12-032224546-03; 02.09.2022)

14. ქ. თბილისში, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ არსებული 1862 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.72.14.014.980) 52 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ივანიძისთვის (პ/ნ: 01019032912) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე(№12-032224549-03; 02.09.2022)

15. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.009.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერიტუსისთვის“ (ს/ნ: 405515456) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე(№12-032224546-03; 02.09.2022)

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არომას“ (ს/ნ. 245599990) შორის 2021 წლის 10 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი №10-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და შპს „არომასათვის“ (ს/ნ. 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „არომას“ (ს/ნ. 245599990) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე(№12-032225056-03; 07.09.2022)

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფს“ (ს/ნ. 405198806) შორის 2021 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, სოფელ დილომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის

ნაკვეთების (ს/კ: 01.72.14.034.711; ს/კ: 01.72.14.034.238; ს/კ: 01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამონატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ (ს/ნ. 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის“ (ს/ნ. 405198806) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-032225057-03; 07.09.2022)

18. „ქალაქ თბილისში, დიდ დილომში, III მიკრორაიონის კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამონატვაში გამარჯვებული შპს „ინვესტ მშენ 1“-ისთვის“ (ს/ნ: 425368149) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“(№12-032225057-03; 07.09.2022)

#### **დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**მოისმინეს:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე

**მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.**

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება ფაქტიურად მიღებული და მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით, კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტები 3 000,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 750,0 ათასი ლარით, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 310,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 210,0 ათასი ლარით და სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 15 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 19 270,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 455 021,0 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) ქვეპროგრამის ასიგნებები - 19 270,0 ათასი ლარი, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 500,0 ათასი ლარით.

მცირდება მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02 ) პროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარი.

ამასთან, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2022 წლის 15 აგვისტოს N19-0122227703 წერილის გათვალისწინებით, მიმდინარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების: „ჩოგბურთის განვითარება“ (ს/ნ 404443456), „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი“ (ს/ნ 404408066), „ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედი“ (ს/ნ 401963666) და „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“ (ს/ნ 405155898) რეორგანიზაციის (შერწყმა/ გაერთიანება) პროცესი, რომლის შედეგად ჩამოყალიბდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი“ და იქნება შემოადინებული იურიდიული პირების სამართალმემკვიდრე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 აპრილის N22.623.658 განკარგულება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N175 განკარგულება). შესაბამისად, ბიუჯეტით გათვალისწინებულ ქვეპროგრამას - თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (კოდი 08 08 02) შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02).

ასევე, დაუსტადა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) ქვეპროგრამის ფარგლებში გაიზარდა ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მომუშავეთა რიცხოვნობა 18 ერთეულით, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა - 6 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 24 ერთეულით და ჯამურად შეადგენს 4 051 ერთეულს.

**მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავი შეიკავა.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

**კვარტალური ცვლილება კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.**

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვს „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების“ (პროგ.კოდი 06 01 07) წლიური გეგმის გაზრდას 880 000 ლარით, რასაც აბალანსებს „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ პროგრამის (პროგ.კოდი 06 01 05) წლიური გეგმის შესაბამისად შემცირებით. ცვლილება გამოწვეულია პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა მომართვიანობით. იზრდება ასევე „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ პროგრამის (პროგ.კოდი 06 02 02) შესამე კვარტლის გეგმა 70 000 ლარით, ასევე „გზების მოვლა შეკეთება დიდუბის რაიონში“ (პროგ.კოდი 01 01 10) შესამე კვარტალი 52 300 ლარით.

**მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავი შეიკავა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური და რაიონული გამგეობები ითხოვს, მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ

ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ქეთევან შუბითიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

**ვალერი ჭილაძის მოხსენებით,** ქეთევან შუბითიძეს საბაკალავრო და სამაგისტრო განათლება მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების განხრით.ქალბატონი ქეთევანი 2011 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში შესყიდვების მიმართულებით და გააჩნია საკმაოდ დიდი გამოცდილება.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა წარმატებები უსურვეს მას მომავალ საქმიანობაში

**მომხრე-6 ანა გოგოლაძემ,საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ თავი შეიკავა.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის უმრავლესობამ დადებითი შეფასება მისცა და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე ლაშა მაჭავარიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

**ვალერი ჭილაძის მოხსენებით,** ლაშა მაჭავარიანი წლების განმავლობაში მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში.მ.შ. მსოფლიო ბანკშიც, ასევე სამართალდამცავ ორგანოებში, ხოლო 2019 წლიდან მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსის მოვალეობას ასრულებდა.

კომისიის თავმჯდომარემ და სხვა წევრებმა მასაც უსურვეს წარმატება მომავალ საქმიანობაში.

**მომხრე-6; ანა გოგოლაძემ,საბა ბუაძემ, ნინო წულაძემ თავი შეიკავა.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის უმრავლესობამ დადებითი შეფასება მისცა და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი იქნება, საკუთრებაში დაირეგისტრიროს “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სარეაბილიტაციო არეალის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-37 დადგენილებით განსაზღვრულ სარეაბილიტაციო არეალში მდებარე უძრავი ქონების განვითარების შედეგად წარმოქმნილი ფართები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 20 ივლისამდე მოქმედებდა საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, რომლის 341 მუხლი ეხებოდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიების განვითარებასა და რეაბილიტაციას. შემოადინებული მუხლით გათვალისწინებული იყო შემდეგი: „იმ შემთხვევაში თუ სარეაბილიტაციო არეალში მდებარე უძრავი ქონების განვითარებისას შენობის საერთო ფართობი 5 პროცენტზე მეტით იზრდება, ისე, რომ გაზრდილი ფართობი იზოლირებულია და მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება შესაძლებელია, დამატებული ფართობი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება რეაბილიტაციის განმახორციელებელი

სუბიექტის ან/და უძრავი ქონების მესაკუთრის საკუთრებად და მას საკუთრებაში გადაეცემა ფართობის გაზრდის დაფინანსებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების პროპორციულად, ხოლო თუ გაზრდილი ფართობი შენობის საერთო ფართობის 5 პროცენტზე ნაკლებია ან/და გაზრდილი ფართობი იზოლირებული არ არის და მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეუძლებელია, დამატებული ფართობი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაა.“

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, 2018 წლის 20 ივლისს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა და ძალაში შევიდა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის“ კოდექსი, რომლის 56-ე მუხლიც მითითებულ საკითხს იდენტურად არეგულირებდა. მიუხედავად არსებული რეგულაციისა, პრაქტიკაში ზემოაღნიშნული ფართობის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის პროცესი გართულდა, ვინაიდან, ზოგიერთ შემთხვევაში, ამხანაგობა არ გასცემდა თანხმობას აღნიშნულთან დაკავშირებით, რაც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის წარმოადგენდა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. შესაბამისად, 2019 წლის 20 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „5. თუ ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების შედეგად შენობის საერთო ფართობი 5 პროცენტით ან 5 პროცენტზე მეტით იზრდება, გაზრდილი ფართობი იზოლირებულია და შესაძლებელია მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება, გაზრდილი ფართობი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების განმახორციელებელი პირის ან/და უძრავი ქონების მესაკუთრის საკუთრებად, ფართობის გაზრდის დაფინანსებისთვის მესაკუთრის მიერ გაწეული ხარჯების პროპორციულად. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების განმახორციელებელი პირის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ან/და მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სარეაბილიტაციო არეალში წარმოქმნილი დამატებული ფართობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის არ არის საჭირო ამხანაგობის წევრთა 100%-ის თანხმობა, თუმცა, ვინაიდან რეგისტრაციის ეს წესი არ ვრცელდება 2019 წლის 20 დეკემბრამდე წარმოქმნილ რეაბილიტირებულ ფართებზე, საჭიროა აღნიშნულ თარიღამდე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება. კერძოდ, დღეის მდგომარეობით არსებობს რამდენიმე შენობა-ნაგებობა, სადაც რეაბილიტაციის შედეგად წარმოქმნილი ფართები, დაურეგისტრირებელია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება ზემოაღნიშნული ფართობის რეგისტრაციის სპეციალური წესი, რაც მისცემს მუნიციპალიტეტს მათზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საშუალებას, შემდგომში, ამავე ფართობის შესაბამისი ამხანაგობისათვის შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ხოლო საკუთრებაში გადაცემა განხორციელდება შესაბამისი ფართის სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებაზე 30%-ით ნაკლებ ფასად.

**მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავი შეიკავა**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი შეფასება მისცა და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა, N30-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.20.01.056.005) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, დანართი 1-ში მითითებულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში 1994-1996 წლებიდან ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. კერძოდ, ქეთინო ფოცხიშვილი - 130.68 კვ.მ და ამირან სიგუა - 45.42 კვ.მ. მითითებულ მოქალაქეებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 176.10 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

**მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავი შეიკავა**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **ირაკლი თავართქილაძის** მოხსენებით, ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, დანართი 1-ში მითითებულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. განკარგულების დანართის შესაბამისად. მოქალაქეები ხანგრძლივი დროის 2007-2008 წლიდან ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით (ჯამური ფართობი: 151.45კვ.მ).

**მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავი შეიკავა**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ნორიოს აღმართი N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.058.01.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “**ირაკლი თავართქილაძის** მოხსენებით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ნორიოს აღმართი N2ბ-ში, მეორე სართულზე მდებარე 45.57 კვ.მ ფართის ბინა N14-ის (საკადასტრო კოდი: 01.16.03.058.020.01.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ჯამბულ დღვილავასთვის (პ/ნ 29001001062) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს (MIA 7 21 01827245 13/07/2021) ცნობით დგინდება, რომ ჯამბული დღვილავა მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2005 წლიდან ხოლო მოწმეების ჩვენებით 2006 წლიდან.

**მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავი შეიკავა**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** საბურთალოს რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 2 პირს (2 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ მიერ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები კერძოდ: ეკატერინე ფიცხელაური (პ/ნ 01019020586) დაკავებული ფართი - 22.36 კვ.მ და ნოდარი მენტეშაშვილი (პ/ნ 13001015305) დაკავებული ფართი - 26.68 კვ.მ და 39.04 კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 88.08 კვ.მ. ფართი.

**მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავი შეიკავა**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.24.007.874, N01.19.24.007.875 და N01.19.24.007.876) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** სამგორის რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.24.007.874, N01.19.24.007.875 და N01.19.24.007.876) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის

საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 5 პირს (5 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ მიერ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები კერძოდ: ნელი დაუდიშვილი (პ/ნ 45001005830) დაკავებული ფართი - 42.13 კვ.მ და 1.68 კვ.მ; ნინო ყულჯანიშვილი (პ/ნ 03001022333) დაკავებული ფართი - 23.97 კვ.მ; ინგა ნაგლიაშვილი (პ/ნ 13001005180) დაკავებული ფართი - 33.73 კვ.მ; ლამარა ჩამგელანი (პ/ნ 28001089713) დაკავებული ფართი - 12.84 კვ.მ და 32.80 კვ.მ; მაია ჟამერაშვილი (პ/ნ 36001040857) დაკავებული ფართი - 28.43 კვ.მ 16.51 კვ.მ და 14.86 კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 206.95 კვ.მ ფართი.

**მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავი შეიკავა**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** „ქ. თბილისში, პეკინის გამზ. N28-ის მიმდებარედ არსებული 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.14.030.069) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისი გულფ კოფე ენდ სნაკს“-ისთვის (ს/ნ: 402204379) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** შპს „თბილისი გულფ კოფე ენდ სნაკს“-ის (ს/ნ: 402204379) წარმომადგენელმა, განცხადებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. პეკინის გამზ. N28-ის მიმდებარედ არსებული 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.14.030.069) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისი გულფ კოფე ენდ სნაკს“-ისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, ერთი წლით. აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარე შენობაში არსებულ 150 კვ.მ. ფართს (ს/კ: 01.10.14.030.011.01.502), 2 წლის ვადით, აღნიშნული ფართის მესაკუთრესთან 15.07.21წ. გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, ერთი წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 6300 (ექვსი ათას სამასი) ლარის ოდენობით.

**მომხრე-9**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N17-19-ის მიმდებარედ/რუსთაველის გამზირი N19-ის მიმდებარედ არსებული 274 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.017.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტრედლოსთვის“ (ს/ნ: 405504850) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** შპს „ტრედლოს“ (ს/ნ: 405504850) დირექტორმა მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N17-19-ის მიმდებარედ/რუსთაველის გამზირი N19-ის მიმდებარედ არსებული 274 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.017.030) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N19-ში, „ლიტერ „ა“-ში, 1 სართულზე არსებული 854.70 კვ.მ ფართიდან 19 კვ.მ ფართს (საკადასტრო კოდი: 01.15.04.017.009.01.521) 2025 წლის 17 მაისამდე ვადით, (სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 23.06.2022 დამოწმებული იჯარის ხელშეკრულება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განცხადებით წარმოდგენილია 20 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ტერიტორიის ადგილზე შესწავლის და აზომვის შედეგად განისაზღვრა 13 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვასთან დაკავშირებით. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 26 ივლისის

N005072122 ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2022 წლის 25 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 340 (ორი ათას სამას ორმოცი) ლარით.

#### **მომხრე-9**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N81-87-ის მიმდებარედ არსებული 424 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.05.003.132) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უკვესთვის“ (ს/ნ: 404474662) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „უკვეს“ (ს/ნ: 404474662) წარმომადგენელმა ელექტრონული განცხადებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N81-87-ის მიმდებარედ არსებული 424 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.05.003.132) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, შპს „უკვეს“ (ს/ნ: 404474662) იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N83/მარჯანიშვილის ქუჩა N23-ში მდებარე 80.70 კვ.მ ფართს (საკადასტრო კოდი: 01.16.05.003.020.01.545) 2027 წლის 30 მარტამდე ვადით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 29 ივლისის N005148122 ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2022 წლის 25 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 060 (სამი ათას სამოცი) ლარით.

#### **მომხრე-9**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ არსებული 1862 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.72.14.014.980) 52 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ივანიძისთვის (პ/ნ: 01019032912) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, გიორგი ივანიძემ (პ/ნ: 01019032912) განცხადებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ არსებული 1862 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან (ს/კ: 01.72.14.014.980) 52 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 10 წლით. აღნიშნული პირი საკუთრების უფლებით ფლობს მიმდებარედ არსებულ: ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N11-ში მდებარე 32.50 კვ.მ. ფართს (ს/კ: 01.10.06.003.005.01.03.004).

სააგენტოში წარმოდგენილი 15.07.22წ. N60-01221963353 წერილით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსება.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 52 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლით, ნაცვლად - მოთხოვნილი 10 წლისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 7488 (შვიდი ათას ოთხას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

#### **მომხრე-9**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**



**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.009.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერიტუსისთვის“ (ს/ნ: 405515456) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.009.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერიტუსისთვის“ (ს/ნ: 405515456) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურია - 1 620 ლარი.

**მომხრე-9**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არომას“ (ს/ნ. 245599990) შორის 2021 წლის 10 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი №10-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და შპს „არომასათვის“ (ს/ნ. 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „არომას“ (ს/ნ. 245599990) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 19 მაისის №21.639.727 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 ივნისის №200 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული შპს „არომასათვის“ (ს/კ: 245599990, შემდგომში: კომპანია) – ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი №10-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 39/002), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 1827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (შემდგომში: უძრავი ქონება) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2021 წლის 10 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი №10-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1827 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და შპს „არომასათვის“ (ს/ნ: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“, რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლებმა, ზემოაღნიშნული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების მათთვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ქონებაზე კომპანიის საკუთრების უფლება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა 2021 წლის 16 ივლისს. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვა კომპანიას უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2022 წლის 17 იანვრისა (შაბათ-კვირის გათვალისწინებით). უძრავ ქონებაზე არქიტექტურული

პროექტი შეთანხმდა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 მარტის №5849497 ბრძანებით, ხოლო შესაბამისი მშენებლობის ნებართვა გაიცა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 12 აპრილის №5893544 ბრძანებით. შესაბამისად, კომპანიის მიერ ხელშეკრულების 3.6 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა ვადაგადაცილებით, რისთვისაც მას ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრა შესაბამისი პირგასამტეხლო. აღნიშნული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 100 ლარს, რაც ჯამში შეადგენს 8 500 (რვა ათას ხუთასი) ლარს.

ამასთან, კომპანიის მიერ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულია (სარეგისტრაციო წარმოება №882022378544) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების პირველადი განშლა, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში (02.06.2022 წელს). თუმცა, აღნიშნული განშლის საფუძველზე, შესაბამისი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართები ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოოპერატივის შესაბამისი წევრების საკუთრებად დარეგისტრირდა ვადაგადაცილებით - 2022 წლის 17 ივნისს, ნაცვლად არაუგვიანეს 2022 წლის 13 ივნისისა (შაბათ-კვირის გათვალისწინებით). აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტის შესაბამისად, კომპანიას ასევე დაეკისრა პირგასამტეხლო ჯამში 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით. ორივე ვალდებულების (3.6 და 3.1 პუნქტები) დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა შეადგენს 8 900 (რვა ათას ცხრაასი) ლარს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 29 მარტის და 2022 წლის 17 ივნისის განცხადებებით კომპანიამ მომართა სააგენტოს პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით. კომპანიის განცხადებით, საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლოდ არსებული კომუნიკაციების განსაზღვრის მიზნით, საჭირო გახდა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდისა“ და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ კვლევის რამდენჯერმე ჩატარება. ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე პრეტენზიას აცხადებს ინდივიდუალურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სავანე“, რომლის წევრებმაც რამდენჯერმე დააზიანეს სამშენებლო საინფორმაციო აბრა. სამუშაოების უსაფრთხო გარემოში განხორციელებისათვის საჭირო გახდა აღნიშნული ამხანაგობის წევრებთან არაერთი კომუნიკაცია და საპატრულო პოლიციის ჩართულობა. სამუშაოების ჩვეულ რიტმში განხორციელებას ხელი შეუშალა პანდემიიდან გამომდინარე დაწესებულმა შეზღუდვებმაც. ამასთან, კომპანიის განმარტებით, საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებისას შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან არაერთხელ დაუდგინდა ხარვეზი ცალ-ცალკე და არა ერთიანად, რამაც ასევე მოახდინა გავლენა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მშენებლობის ნებართვის მოპოვებაზე. აღნიშნული გარემოებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საკითხი ეხება სოციალურ პროექტს, კომპანიამ მოითხოვა ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან მიზანშეწონილია ხელშეკრულების 3.1 და 3.6 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „არომას“ გათავისუფლებას.

#### **მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავიშეიკავა**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი შეფასება მისცა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფს“ (ს/ნ. 405198806) შორის 2021 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, სოფელ დიდომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.72.14.034.711; ს/კ: 01.72.14.034.238; ს/კ: 01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოსატყაობაში

გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ (ს/ნ. 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის“ (ს/ნ. 405198806) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის №20.1559.1909 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №439 განკარგულებების საფუძველზე 2021 წლის 03 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ქ. თბილისში, სოფელ დიდომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.72.14.034.711; ს/კ: 01.72.14.034.238; ს/კ: 01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ (ს/კ: 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“, რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლებმა, ზემოთხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვები კომპანიას უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2022 წლის 22 აპრილისა. აღნიშნული ვალდებულება კომპანიამ შეასრულა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ, შესაბამისი მშენებლობის ნებართვები გაიცა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №5744811 (ბლოკი 1), 2022 წლის 24 დეკემბრის №5741484 (ბლოკი 2) და 2022 წლის 24 დეკემბრის №5741934 (ბლოკი 3) ბრძანებებით. შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2022 წლის 28 მარტისა (შაბათ-კვირის გათვალისწინებით).

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ კომპანიამ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაარეგისტრირა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების პირველადი განშლა, ხელშეკრულების 3.4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში (22.03.2022 წელს). თუმცა, აღნიშნული განშლის საფუძველზე, შესაბამისი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართები ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოოპერატივის შესაბამისი წევრების საკუთრებად დაარეგისტრირდა ვადაგადაცილებით - 2022 წლის 14 აპრილს, ნაცვლად არაუგვიანეს 2022 წლის 28 მარტისა (შაბათ-კვირის გათვალისწინებით). აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტის შესაბამისად, კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1 000 ლარის ოდენობით, რაც ჯამში შეადგენს 17 000 ლარს. ამასთან, საკუთრების უფლება დღეისათვის არ არის რეგისტრირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირის, ზალიკო კვირველიასთვის (პ/ნ: 48001013411) გადასაცემ ინდივიდუალურ ფართზე, რადგან აღნიშნული პირი გარდაიცვალა და სამკვიდრო მოწმობა ჯერჯერობით გაცემული არ არის. აგრეთვე, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ფართების განაწილების დოკუმენტში, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის განცხადებით, დაფიქსირებულია აღნიშნული პირის უფლება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის ფართზე. სამკვიდრო მოწმობის გარეშე აღნიშნული ფართის განკარგვა და სხვა პირზე რეგისტრაცია ვერ განხორციელდება, რასაც ადასტურებს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით სააგენტოს განცხადებით მომართა კომპანიამ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით. მათი განმარტებით, მათ მიერ

ინდივიდუალური ფართების განაწილების (ე.წ. განშლის) რეგისტრაცია განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. ვალდებულების შესრულება შეაფერხა ქონების ერთ-ერთი მომავალი მესაკუთრის (ზალიკო კვიციანი) გარდაცვალების ფაქტმა. ამასთან, როგორც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო მასალებიდან დგინდება, ინდივიდუალური ამონაწერების მომზადებისათვის სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილი იქნა სარეგისტრაციო განცხადებების წარდგენა თავად ინდივიდუალური მესაკუთრეების მიერ, რამაც განაპირობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან წარმოდგენილია ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის“ გათავისუფლების საკითხი.

#### **მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავი შეკავა**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი შეფასება მისცა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** “ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრორაიონის კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6002 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოსატყობი გამარჯვებული შპს „ინვესტ მშენ 1“-ისთვის (ს/ნ: 425368149) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ”

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის ([www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge)) საშუალებით 2022 წლის 25 მარტიდან 2022 წლის 29 აპრილის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, III მიკრო რაიონში, კორპუსი N4-ის მიმდებარედ, N01.10.07.007.177 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 6002 კვ. მ) პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და ამჟამინდელ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა არაუმეტეს 5.2-ით (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა-6), ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 3 150 კვ.მ-თ.

აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენის განსაზღვრულ ვადაში სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ერთი დაინტერესებული პირის - შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/ნ: 425368149) დალუქული კონვერტით წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება - ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირობებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - 3 200 კვ. მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით), თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ სრულად არ იყო წარმოდგენილი ხსენებული ინტერესთა გამოხატვის 3.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია: კერძოდ, ინფორმაცია ინტერესთა გამოხატვაში მონაწილის ან მასთან აფილირებული/ დაკავშირებული პირის მიერ სამშენებლო სფეროში გამოცდილების, კერძოდ, ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო პროექტების შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი იყო სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით (სს

„საქართველოს ბანკის“ - ს/კ: 204378869 მიერ 2022 წლის 27 აპრილს გაცემული საბანკო გარანტია N PE1000261-22) . ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის მიხედვით, პრინციპალს წარმოადგენდა შპს “ზ და დ გლობალ ბილდინგ კომპანი” (ს/კ: 425362831), რომელიც არ წარმოადგენდა ინტერესთა გამომხატველ მონაწილე სუბიექტს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სააგენტოს განეხილა კომპანიის შეთავაზება - სააგენტომ წერილობით სთხოვა, სრულად წარმოედგინა ზემოთ მითითებული დოკუმენტაცია (მათ შორის, უშუალოდ დასახელებულ ინტერესთა გამომხატველ მონაწილე სუბიექტის - შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/კ: 425368149) სახელზე და სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული ზემოხსენებული ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია ან კომპანიის მიერ წარმოდგენილ ზემოხსენებულ საბანკო გარანტიაში შესაბამისი ცვლილების დოკუმენტი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებდა ინტერესთა გამომხატვის პირობებს).

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ განსაზღვრულ ვადაში, კომპანიის - შპს „ინვესტ მშენ 1“-ის (ს/კ: 425368149) - მხრიდან სრულად იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია მათ შორის, N PE1000261-22 საბანკო გარანტიაში ცვლილების თაობაზე შეტყობინება. შესაბამისად ინტერესთა გამომხატველმა გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ინვესტ მშენ 1“ (ს/კ: 425368149).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამის შემდგომ, სააგენტომ განახორციელა სამშენებლო პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებლ პირთა სიის ფორმირება. კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (40 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღსანიშნავია, ასევე, რომ ზოგიერთმა პირმა, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მითითებულ კრიტერიუმებს, სიის ფორმირების პროცესში, სააგენტოს შესაბამის თანამშრომლებთან სატელეფონო კომუნიკაციისას, უარი განაცხადეს წარმოდგენილი განკარგულებით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამშენებლო პროექტში დაკმაყოფილებაზე. განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

#### **მომხრე-8 ანა გოგოლაძემ თავი შიკავა**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი შეფასება მისცა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე